საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1925 2019 წლის 30 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და შპს „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას“ (GIZ) შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების – „სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მხარდაჭერა ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში 64 894 ჰა ფართობზე ტყის მართვის აღრიცხვის გაუმჯობესებული მეთოდოლოგიით განხორციელებასა და ეკოსისტემულ მიდგომებზე დაფუძნებული ტყის მართვის გეგმის შემუშავებაში“ მოწონების თაობაზე

1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გრანტის, რომლის მიზანია სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მხარდაჭერა ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში 64 894 ჰა ფართობზე ტყის მართვის აღრიცხვისა და ტყის მართვის გეგმის შემუშავებაში, მიმღებ ორგანოდ საქართველოს მთავრობის სახელით განისაზღვროს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სატყეო სააგენტო.

2. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და შპს „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას“ (GIZ) შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების პროექტი – „სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მხარდაჭერა ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში 64 894 ჰა ფართობზე ტყის მართვის აღრიცხვის გაუმჯობესებული მეთოდოლოგიით განხორციელებასა და ეკოსისტემულ მიდგომებზე დაფუძნებული ტყის მართვის გეგმის შემუშავებაში“.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**